ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7449462

ნომერი: AR11086439

თარიღი : 07.04.2025

გაცემის თარიღი : 16.04.2025

გაცნობის თარიღი : 16.04.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ციხისძირის ქუჩა, N 69;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2025 წლის 07 აპრილის №AR11086439 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 07 აპრილს №AR11086439 განცხადებით მომართა ირაკლი მაზიაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის

27 თებერვლის №7394921 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 27 თებერვლის №7394921 ბრძანებით №01.17.11.010.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია სამსახურის 2025 წლის 27 თებერვლის №7394921 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელი ფართობად 18029.9 კვ.მ-ის ნაცვლად 18040.9 კვ.მ-ის, საოფისე ფართობად 621.4 კვ.მ-ის ნაცვლად 610.4 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს საკითხზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, საჭიროა, წარმოდგენილ იქნას სამსახურის 2025 წლის 27 თებერვლის №7394921 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური მხოლოდ ის გეგმები (გეგმარების შეცვლის გარეშე) რომლებზეც ზუსტდება ფართობები (სხვა გეგმების წარმოდგენა საჭირო არ არის).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დაავალოს განმცხადებელს წარმოადგინოს განახლებული დოკუმენტაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ვბრძანებ:

1. დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში დაზუსტებულ ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებთან წარმოადგინოს სამსახურის 2025 წლის 27 თებერვლის №7394921 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური მხოლოდ ის გეგმები (გეგმარების შეცვლის გარეშე), რომლებზეც ზუსტდება ფართობები (სხვა გეგმების წარმოდგენა საჭირო არ არის).
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2025 წლის 07 აპრილის №AR11086439 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.